საქართველოს მთავრობის

დადგენილება №694

2020 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს №411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს №411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2020, 340020000.10.003.021751) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით ჩამოყალიბებულ სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„

5.	**საზეთე და საბოჭკოე კულტურების გვარები და სახეობები**	
	Arachis hypogaea L.	არაქისი (მიწის თხილი)
	Brassica juncea (L.) Czern	სარეპსის მდოგვი
	Brassica napus L. (partim)	თალგამურა
	Brassica nigra (L.) W.D.J. Koch	შავი მდოგვი
	Brassica rapa L. var. silvestris (Lam.) Briggs	შალგი
	Carthamus tinctorius L.	ალისარჩული
	Carum carvi L.	კვლიავი
	Glycine max (L.) Merr.	სოია
	Gossypium spp.	ბამბა
	Gossypium hirsutum	ამერიკული ბამბა
	Gossypium barbadense	ეგვიპტური ბამბა
	Helianthus annuus L.	მზესუმზირა
	Linum usitatissimum L.	ჩვეულებრივი სელი
	Sinapis alba L	თეთრი მდოგვი
6	Solanum tuberosum L.	კარტოფილი

“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**